




ავტორები: თორნიკე სურგულაძე და დავით კუშელავა

## შემცირებული ექსპორტის/იმპორტის, ფულადი გზავნილების გამოწვევებისა და დაბალი ინფლაციის მიუხედავად სწრაფი ეკონომიკური ზრდა შეინიშნება

გრაფიკი 1 - საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISSET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა განაახლა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზი 2024 წლის მეორე და მესამე კვარტლებისთვის. წარმოგიდგენთ ამ თვის მიგნებებს.

### ძირითადი მიგნებები:

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) 2024 წლის მარტის მშპ-ის რეალური ზრდის წინასწარი შეფასება გამოაქვეყნა. აღნიშნული შეფასებით, მშპ 8.2%-ით გაიზარდა, მშპ-ის ზრდის საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა კი 2024 წლის პირველ კვარტალში 7.8%-ს მიაღწია.
- საქსტატის მშპ-ის მაჩვენებლის გამოთვლის მეთოდოლოგიის ცვლილების შედეგად, დეკემბრის კორექტირებულ მონაცემებში წინა თვეების მაჩვენებლებთან შედარებით ზრდის ტენდენცია



ფიქსირდება. შესაბამისად, ჩვენი მშპ-ის ზრდის პროგნოზიც აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით დაკორექტირდა.

- ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზით, 2024 წლის მეორე კვარტალში მშპ-ის რეალური მაჩვენებელი 7.9% იქნება, 2024-ის მესამე კვარტალში კი – 6.1%.
- მარტის მონაცემებზე დაყრდნობით, 2024 წელს, ცუდი სცენარის განვითარების შემთხვევაში, მოსალოდნელია წლიური 7.1%-იანი ზრდა, ხოლო საუკეთესო ან საშუალო, გრძელვადიანი ზრდის სცენარების შემთხვევაში – 8.8%-იანი ზრდა. ჩვენი შუალედური პროგნოზის თანახმად (უკანასკნელი ოთხი კვარტლის საშუალო ზრდის მაჩვენებელზე დაყრდნობით), მოსალოდნელია მშპ-ის რეალური ზრდა 8.2%-ით.

**ცვლადები, რომლებზე დაყრდნობითაც მარტის მშპ-ის ზრდის პროგნოზი განისაზღვრება:**

**დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.** ცვლადების პირველი ჯგუფი, რომელიც ჩვენს პროგნოზზე ზომიერ გავლენას ახდენს, კომერციულ ბანკებში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტებია. ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა ყველა კატეგორიის დეპოზიტმა წლიური ზრდა განიცადა. კერძოდ, ეროვნულ ვალუტაში მოთხოვნამდე დეპოზიტები წლიური 26.9%-ით, ხოლო ვადიანი დეპოზიტები წლიური 33.1%-ით გაიზარდა. შედეგად, სულ ეროვნულ ვალუტაში არსებული დეპოზიტები წლიურად 29.8%-ით გაიზარდა. *საერთო ჯამში ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებს რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე მცირე დადებითი გავლენა ჰქონდა.*

**უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა, წინა წლის იმავე თვესთან შედარებით, 12.5%-იანი ზრდა განიცადა.** ამავდროულად, უცხოურ ვალუტაში მიმდინარე ანგარიშები 8.7%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში არსებული მოთხოვნამდე დეპოზიტები წლიური 0.6%-ით შემცირდა. მეორე მხრივ, უცხოური ვალუტის ვადიანი დეპოზიტები მნიშვნელოვნად, წლიური 30.7%-ით გაიზარდა. *თუმცა, ჩვენი მოდელის თანახმად, უცხოურ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებს რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე უარყოფითი გავლენა ჰქონდა.*

**საქონლით ვაჭრობა.** მარტში საქართველოს ექსპორტი წლიურად 4.4%-ით შემცირდა. ეს ძირითადად მინერალური ან ქიმიური სასუქების (აზოტის) (64.4%-ით შემცირდა) და სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (80.2%-ით შემცირდა) ექსპორტის/რეექსპორტის შემცირებით იყო განპირობებული. ამავდროულად, გაიზარდა ავტომობილების (წლიური 3.6%-ით) და ყურძნის ნატურალური ღვინოების (წლიური 63.7%-ით) ექსპორტი/რეექსპორტი.

**ამ პერიოდის განმავლობაში საქონლის იმპორტი 14.7%-ით შემცირდა,** რაც უმეტესად ავტომობილების (41.3%) იმპორტის/რეიმპორტის შემცირებამ განაპირობა. ამის საპირისპიროდ, აირების და სხვა თხევადი ნახშირწყალბადის (წლიურად 16.4%-ით გაიზარდა), ნავთობის და ნავთობპროდუქტების (წლიურად გაიზარდა 10.1%-ით), სატელეფონო აპარატების, ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის განკუთვნილი ტელეფონების (წლიურად 42.8%-ით გაიზარდა) და დაფასოებული მედიკამენტების (წლიურად 14.5%-ით გაიზარდა) იმპორტი/რეიმპორტი გაიზარდა. **შედეგად, საგარეო სავაჭრო დეფიციტი წლიური 21.41%-ით შემცირდა და 654 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა.**



*მთლიანობაში, ვაჭრობასთან დაკავშირებულ ცვლადებს მშპ-ის ზრდის პროგნოზზე მცირე დადებითი გავლენა ჰქონდა.*

**ფულადი გზავნილები.** მარტში ფულადი გზავნილები წლიურად **36.5%-ით** შემცირდა და **278.5 მლნ აშშ დოლარს** მიაღწია. აღნიშნული შემცირების მთავარი მიზეზი რუსეთის ფედერაციიდან (შემცირდა წლიური 76.3%, -38.9 პროცენტული პუნქტი), ყაზახეთიდან (შემცირდა 32.2%, -1.2 პროცენტული პუნქტი), თურქეთიდან (შემცირდა 19.5%, -0.5 პროცენტული პუნქტი), ყირგიზეთიდან (შემცირდა 51.6%, -0.7 პროცენტული პუნქტი) და აზერბაიჯანიდან (შემცირდა 15.9%, -0.15 პროცენტული პუნქტი) შემოდინებული ფულადი გზავნილების შემცირება იყო. თუმცა გაიზარდა გზავნილების რიცხვი იტალიიდან (წლიურ 7.5%-მდე, 0.74 პროცენტული პუნქტით), ამერიკის შეერთებული შტატებიდან (წლიურ 24.4%-მდე, 2 პროცენტული პუნქტით), გერმანიიდან (წლიურ 14.7%-მდე, 0.6 პროცენტული პუნქტით) და საბერძნეთიდან (წლიურ 7.1%-მდე, 0.3 პროცენტული პუნქტით). ფულის შემოდინების შემცირება შესაძლოა კვლავ განპირობებული იყოს საბაზო ეფექტით. 2022 წელს, უკრაინაში რუსეთის მიერ ომის დაწყების შემდეგ, საგრძნობლად გაიზარდა საქართველოში შემოსული რუსი მოქალაქეების ნაკადი, რომლებიც პირადი მიზნებისთვის რიცხავდნენ თანხებს. აღნიშნული მოვლენის გარდამავალი ეფექტის შემცირებასთან ერთად, საქართველო უბრუნდება ფულადი გზავნილების შემოდინების ჩვეულ დონეს. *შედეგად, ფულად გზავნილებს მცირედი დადებითი გავლენა ჰქონდა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

**გაცვლითი კურსი.** თებერვალში ლარი აშშ დოლართან (1.3%-ით თვიურ ჭრილში), ევროსა (1%-ით თვიურ ჭრილში) და რუბლთან (0.4%-ით თვიურ ჭრილში) მიმართებით გაუფასურდა. **რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER)** თვიური მაჩვენებლით 2.3%-ით გაუფასურდა, ხოლო **წლიური გამოთვლებით – 1.7%-ით.** ერთი მხრივ, ლარის გაუფასურება უარყოფითად აისახება ქართველ მოსახლეობაზე, იმპორტზე ძლიერი დამოკიდებულებისა და სესხების დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებლის გამო (ბიზნესებს შემოსავალი და ვალდებულებები სხვადასხვა ვალუტაში აქვთ), მეორე მხრივ, იზრდება კონკურენტუნარიანობა ექსპორტში. *მთლიანობაში, REER-თან დაკავშირებულ ცვლადებს უარყოფითი გავლენა ჰქონდა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

**სამომხმარებლო სესხი.** მარტში, კომერციული ბანკების სამომხმარებლო სესხების მთლიანი მოცულობა წლიური **26.8%-ით** გაიზარდა. მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხების მოცულობა წლიურად მნიშვნელოვნად, 52.2%-ით, გაიზარდა, რაც ძირითადად როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტის რაოდენობის ზრდით იყო განპირობებული, რომელიც წლიურ ჭრილში, შესაბამისად, 25.3%-ით და 195%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ კომერციულ ბანკებში გრძელვადიანი სამომხმარებლო სესხების მოცულობა წლიურ ჭრილში 26.1%-ით გაიზარდა. *აღნიშნული ზრდის მიუხედავად, სამომხმარებლო სესხებთან დაკავშირებულ ცვლადებს მცირე უარყოფითი გავლენა ჰქონდა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

**ინფლაცია.** მარტში სამომხმარებლო ფასების წლიური ზრდა **0.5%-ს** გაუტოლდა, რაც მიზნობრივ **3%-ს** მნიშვნელოვნად ჩამორჩება. საერთაშორისო ბაზარზე საქონლის სტაბილურმა ფასებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინფლაციით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენის შემცირებაში.



მოსალოდნელია, რომ ინფლაციის მაჩვენებელი ეტაპობრივად გაუტოლდება სამიზნე მაჩვენებელს. საწვავის ფასები (ევრო ზრენტის ფასი (COP)) მსოფლიო ბაზარზე წლიური 8.9%-ით შემცირდა. მიუხედავად ამისა, მაღალია ინფლაციის ზრდის რისკი. საერთო ჯამში, სამომხმარებლო ფასების ინდექსთან (CPI) დაკავშირებულ ცვლადებს დადებითი გავლენა ჰქონდა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage') აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.